



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
გენერალური აუდიტორის ბრძანება



№ 11477/21

07/08/2018

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122-ე და 123-ე მუხლების და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შინაგანაწესი.
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შინაგანაწესი, საჯაროდ გამოცხადების მიზნით, განთავსდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ შენობებში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 10 აგვისტოდან.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6).

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი